ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 128

15 აპრილი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის, „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულების 11.1, 11.2 და 11.3 პუნქტების საფუძველზე, ასევე, შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) 2021 წლის 14 დეკემბრის №04-0121348363-61 და 2022 წლის 03 თებერვლის №19/0122034358-61 განცხადებების, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ. 202886788) 2022 წლის 08 თებერვლის №01/556 განცხადებისა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22 ნოემბრის №008154721 დასკვნის საფუძველზე და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 მარტის №22.446.491 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების ელექტრონული აუქციონის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის №18.1047.1491 განკარგულებაში ცვლილების შეტანის და განკარგულების დანართი 1-ის მე-10 პუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ:

„10. განთავსების უფლების გადაცემის ვადა მოქმედებს 2041 წლის 07 აგვისტომდე.“

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის მიზნით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 მარტის №22.446.491 განკარგულების დანართის შესაბამისი შეთანხმების გაფორმებაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

პროექტი

შეთანხმება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/კ: 202886788) და შპს „ალმას“ (ს/კ: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” (ს/ნ: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი **___ _____ 2022 წ.**

ერთი მხრივ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში: სააგენტო), წარმოდგენილი სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის, *ირაკლი თავართქილაძის* მიერ (პ/ნ: 01024052796);

მეორე მხრივ, **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“** (ს/კ: 202886788) (შემდგომში: სატრანსპორტო კომპანია), წარმოდგენილი *გიორგი შარკოვის* (პ/ნ: 01021004162) მიერ; და

მესამე მხრივ, **შპს „ალმა“** (ს/კ: 204873388) (შემდგომში: უფლების მიმღები) წარმოდგენილი *გიორგი ტრაპაიძის* (პ/ნ: 01030036519) მიერ;

(შემდგომში ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“)

ვინაიდან, „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” (ს/კ: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების ელექტრონული აუქციონის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის №18.1047.1491 განკარგულების საფუძველზე გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში გაიმარჯვა შპს „ალმამ“ (ს/კ: 204873388);

ვინაიდან, სააგენტოს, სატრანსპორტო კომპანიასა და უფლების მიმღებს შორის 2019 წლის 6 თებერვალს გაფორმდა „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულება (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, შემდგომში: ხელშეკრულება), რომლის თანახმადაც, უფლების მიმღებს 2040 წლის 07 აგვისტომდე ვადით, გადაეცა სატრანსპორტო კომპანიის ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება;

ვინაიდან, უფლების მიმღებმა 2021 წლის 14 დეკემბრის №14-12ა (სააგენტოში რეგისტრაცია: №04-0121348363-61, 14.12.2021 წ.) და 2022 წლის 03 თებერვლის №03-02-ა (სააგენტოში რეგისტრაცია: №19/0122034358-61, 03.02.2022 წ.) წერილებით მიმართა სააგენტოს და პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსის „COVID-19“-ის გავრცელების პრევენციის მიზნით,

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის/ფუნქციონირების გარკვეული ვადით შეჩერების გამო, მოითხოვა ხელშეკრულების ვადის 2041 წლის 07 აგვისტომდე (12 თვით) გახანგრძლივება, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22 ნოემბრის №008154721 დასკვნის გათვალისწინებით;

ვინაიდან, სატრანსპორტო კომპანიამ 2022 წლის 08 თებერვლის №01/556 წერილით გამოხატა თანხმობა უფლების მიმღების მიერ მოთხოვნილი ცვლილების განხორციელებაზე;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების 11.1, 11.2 და 11.3 პუნქტების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის №[●] განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის №[●] განკარგულების საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში შეტანილი იქნას ცვლილება და ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „8.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2041 წლის 07 აგვისტომდე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე შეწყდება.“.

2. უფლების მიმღები აცხადებს და ადასტურებს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ცვლილების გათვალისწინებით, მას არ აქვს და არც მომავალში წარმოეშობა რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება სააგენტოს ან/და სატრანსპორტო კომპანიის წინაშე, მათ შორის, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალის და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან ან/და ხელშეკრულებაში რაიმე პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით, პანდემიად აღიარებული ახალი კორონა ვირუსის, „COVID 19“-ის გავრცელებისა და მის მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული მდგომარეობიდან/შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნული კორონა ვირუსის გავრცელების დღიდან წინამდებარე შეთანხმების დადებამდე მთელ პერიოდზე.

3. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ წინამდებარე შეთანხმება არ წარმოშობს უფლების მიმღების რაიმე სამომავლო მოთხოვნის უფლებას ან/და არ ადგენს საამისო ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საფუძველს, ასევე, არ შეიცავს უფლების მიმღების მიმართ სააგენტოს ან/და სატრანსპორტო კომპანიის რაიმე სახის დაპირებას/ვალდებულებას წინამდებარე შეთანხმების გაფორმების შემდგომ არსებულ/შესაძლოდ გამოვლენილ ფორსმაჟორულ ან/და შეცვლილ გარემოებებთან დაკავშირებით.

4. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. ხელშეკრულების სხვა პუნქტები/დანართები, რომელიც არ იცვლება წინამდებარე შეთანხმებით, რჩება უცვლელი. წინამდებარე შეთანხმებისა და ხელშეკრულების პუნქტებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე შეთანხმებას.

6. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

პროექტი

ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო

ირაკლი თავართქილაძე (პ/ნ: 01024052796)

_____

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ს/ნ: 202886788)

გიორგი შარკოვი (პ/ნ: 01021004162)

_____

შპს ალმა (ს/ნ: 204873388)

გიორგი ტრაპაიძე (პ/ნ: 01030036519)

_____